ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **97-97240732**
თარიღი: **13/03/2024**

ადრესატი: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: დაბა ლენტეხი, თამარ მეფის ქ 24

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ გია ონიანს

ბატონო გია,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 12 მარტს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა. სხდომაზე განხილული იქნა განცხადებები:

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფ. წანაშის მოსახლეობის ერთობლივი განცხადება.(სოფ.წანაშში, კერძოდ ,,იფხალდში“ მდ. ხელედურის გასწორხაზოვნება).

2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ლესემის მოსახლეობის ერთობლივი განცხადება. (ლენტეხ-ხელედის მიმართულებით საავტომობილო გზის მოწყობა ბეტონის საფარით და ავტომანქანების სიჩქარის საწინააღმდეგო ბუგორების დაგება ოთხ ადგილზე.)

3. ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ბაბილში ცენტრალურ გზის ნაპირზე სანიაღვრე არხის მოწყობა.

4. ახალი დასახლების მოსახლეობის განცხადება.(დამცავი კედლის მოწყობა და შემოვლითი გზის დასრულება ბეტონის საფარით)

1. პირველი განცხადების თანახმად მოსახლეობა თხოვს ,,იფხალდის“ დასახლებაში მდინარე ხელედურის კალაპოტის გასწორხაზოვნებას.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს საკითხთან დაკავშირებით და გადაწყვიტეს: ეთხოვოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერს - აღნიშნული საკითხის დადებითად მოგვარების მიზნით სოფ. ,,იფხალდის“ მოსახლეობას გაუწიოს შუამდგომლობა შესაბამის სახელმწოფო უწყებებთან.

2. სოფ. ლესემის მოსახლეობის განცხადება. განცხადების თანახმად მოსახლეობა ითხოვს ლენტეხი - ხელედის მიმართულებით საავტომობილო გზის მოწყობას ბეტონის საფარით და ავტომანქანების სიჩქარის საწინააღმდეგო ბუგორების დაგებას ოთხ ადგილზე.

კომისიამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ აღნიშნული პრობლემის მოგვარებაზე ეთხოვოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას გაატაროს ქმედითი ღონისძიებები.

3. დაბის მაჟორიტარი დეპუტატის ირაკლი ქურასბედიანის განცხადება სოფ. ბაბილში ცენტრალური გზის გასწვრივ სანიაღვრე არხის მოწყობის თაობაზე.

კომისიამ იმსჯელა და გადაწყვიტა: ეთხოვოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას გაატაროს ქმედითი ღონისძიებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

4. დაბაში ახალი დასახლების უბნის მაცხოვრებლების ერთიანი განცხადება. განცხადების თანახმად

მოსახლეობა უსაფრთხოების მიზნით ითხოვს გზის მარცხენა მხარეს დამცავი კედლის მ ოწყობას. ამავე დროს ითხოვენ გზის დასრულებას ბეტონის საფარით.

კომისიამ იმსჯელა და გადაწყვიტა: ეთხოვოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას, შესაძლებლობის ფარგლებში გაითვალისწინოს ახალი დასახლების უბნის მაცხოვრებლების პრობლემების მოგვარება.

კომისიის სხდომის ოქმი თან ერთვის.

შემსრულებელი: სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე სოსო ავალიანი.

პატივისცემით,

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი